



Electrolux



electrolux.com/register



LKI66020AX

KA მომხმარებლის სახელმძღვანელო | ქურა

2

UK Інструкція | Плита

38



კეთილი იყოს თქვენი მოზრდნება Electrolux-ში! მადლობას გიხდით ჩვენი დანადგარის არჩევისათვის.



მიიღეთ მოხმარების შესახებ რჩევები, ბროშურები, პრობლემის დროს დახმარება, სერვისისა და შეკეთების შესახებ ინფორმაცია:
www.electrolux.com/support

ექვემდებარება შეცვლას წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

შინაარსი

1. უსაფრთხოების ინფორმაცია.....	2
2. უსაფრთხოების ინსტრუქციები.....	6
3. მონტაჟი.....	9
4. პროდუქტის აღწერა.....	11
5. პირველ გამოყენებამდე.....	11
6. ქურა - ყოველდღიური გამოყენება.....	12
7. ქურა - რჩევები და მითითებები.....	18
8. ქურა - მოვლა და დასუფთავება.....	21
9. ღუმელი - ყოველდღიური მოხმარება.....	21
10. ღუმელი - საათის ფუნქციები.....	24
11. ღუმელი - რჩევები და მითითებები.....	26
12. ღუმელი - მოვლა და დასუფთავება.....	30
13. პრობლემის აღმოფხვრა.....	33
14. ენერგოეფექტურობა.....	35
15. გარემოსდაცვითი პრობლემები.....	37

1. ⚠ უსაფრთხოების ინფორმაცია

მოწყობილობის დამონტაჟებამდე და მოხმარებამდე, ყურადღებით წაიკითხეთ მოწოდებულ ინსტრუქციებს. მწარმოებელი პასუხისმგებელი არ არის არასწორი მონტაჟის ან მოხმარების დროს მიყენებულ რაიმე სახის ზიანზე. ყოველთვის იქონიეთ ინსტრუქციები უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ადგილზე მომავალი გამოყენებისთვის.

1.1 ბავშვებისა და დაუცველი ადამიანების უსაფრთხოება

- ამ მოწყობილობის გამოყენება შეუძლიათ ბავშვებს 8 წლის ასაკიდან და შეზღუდული ფიზიკური, გრძნობითი ან მენტალური შესაძლებლობის მქონე ან

გამოუცდელ პიროვნებებს, თუ მათ მიეცემათ მითითებები მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხო გზით და გაიაზრებენ დაკავშირებულ საფრთხეებს. 8 წლამდე ასაკის ბავშვები და მნიშვნელოვნად უნარშეზღუდული პირები უნდა მოერიდონ მოწყობილობასთან სიახლოვეს ან გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ.

- ბავშვები უნდა იყვნენ ზედამხედველობის ქვეშ, რათა არ ითამაშონ მოწყობილობით.
- იქონიეთ შეფუთვა ბავშვებისგან მოშორებით და განკარგეთ იგი სათანადოდ.
- გაფრთხილება: გამოყენების დროს მოწყობილობა და მისი ხელმისაწვდომი ნაწილები ცხელდება. მოაშორეთ ბავშვები და შინაური ცხოველები მოწყობილობას გამოყენების ან გაგრილების პროცესში.
- თუ მოწყობილობას გააჩნია ბავშვების უსაფრთხოების აპარატი, იგი უნდა ჩაირთოს.
- ბავშვებმა არ უნდა დაასუფთაონ და მოიხმარონ მოწყობილობა უფროსების ზედამხედველობის გარეშე.

1.2 ზოგადი უსაფრთხოება

- ეს მოწყობილობა მხოლოდ საკვების მოსამზადებლად არის განკუთვნილი.
- ეს მოწყობილობა განკუთვნილია ერთი ოჯახის მიერ შინ გამოსაყენებლად დახურულ სივრცეში.
- ეს მოწყობილობა შეიძლება გამოიყენებოდეს ოფისებში, სასტუმროს ნომრებში, B&B-ს ნომრებში, საოჯახო ფერმის ტიპის სასტუმროებსა და სხვა მსგავს საცხოვრებლებში, სადაც ასეთი გამოყენება არ სცდება (საშუალო) საყოფაცხოვრებო მოხმარების დონეებს.
- მხოლოდ კვალიფიციურმა სპეციალისტმა უნდა დაამონტაჟოს ეს მოწყობილობა და შეცვალოს სადენი.
- ეს მოწყობილობა უნდა დაუკავშირდეს მაგისტრალს H05VV-F ტიპის სადენით რათა გაუძლოს უკანა პანელის ტემპერატურას.

- მოწყობილობა შექმნილია ზღვის დონიდან მაქსიმუმ 2000 მეტრ სიმაღლემდე სამუშაოდ.
- ეს მოწყობილობა არ არის განკუთვნილი გემებში, ნავებსა თუ ზომაღლებში გამოსაყენებლად.
- არ დააყენოთ მოწყობილობა დეკორატიული კარის წინ, რათა თავიდან აიცილოთ გადახურება.
- არ დააყენოთ მოწყობილობა პლატფორმაზე.
- არ ამუშავოთ მოწყობილობა გარე მრიცხველის ან ცალკე დისტანციური კონტროლის სისტემის საშუალებით.
- გაფრთხილება: ღუმელზე უმეტესადაა უსაფრთხო დატოვებული, ცხიმით ან ზეთით საჭმლის მზადება შეიძლება საშიშვლო იყოს და ხანძარი გამოიწვიოს.
- არასდროს გამოიყენოთ წყალი საჭმლის მოსამზადებელი ცეცხლის ჩასაქრობად. გამორთეთ მოწყობილობა და დაფარეთ ალი, მაგ., ცეცხლის საფარით ან ხუფით.
- სიფრთხილე: მზადების პროცესი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. მოკლევადიანი მზადების პროცესი გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს.
- გაფრთხილება: ხანძრის საფრთხე: არ შეინახოთ ნივთები სამზარეულო ზედაპირებზე.
- არ გამოიყენოთ ორთქლით სარეცხი საშუალება მოწყობილობის გასაწმენდად.
- არ გამოიყენოთ უხეში აბრაზიული სარეცხი საშუალებები ან მეტალის საფხეკები მინის კარის ან ღუმელის ზედაპირის მინის ზუფების გასაწმენდად, რადგან მათ შეიძლება გაფხაჭნონ ზედაპირი, რამაც შეიძლება მინა დააზიანოს.
- მეტალის საგნები, როგორიცაა დანები, ჩანგლები, კოვზები და სახურავები არ უნდა განთავსდეს ღუმლის ზედაპირზე, რადგან შეიძლება გაცხელდეს.
- გაფრთხილება: ზედაპირის გაფხაჭნის შემთხვევაში, გამორთეთ მოწყობილობა დენის შესაძლო დარტყმის თავიდან ასაცილებლად. თუ მოწყობილობა პირდაპირ არის დაკავშირებული დენთან გამანაწილებლის

საშუალებით, მოხსენით მცველი მოწყობილობის დენის წყაროდან გამოსართავად. ნებისმიერ შემთხვევაში, დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

- გამოყენების შემდეგ გამორთეთ ღუმლის ზედაპირი კონტროლით და ნუ დაეყრდნობით მხოლოდ დეტექტორს.
- გაფრთხილება: გამოყენების დროს მოწყობილობა და მისი ხელმისაწვდომი ნაწილები ცხელდება. საჭიროა სიფრთხილე გაცხელებულ ელემენტებთან შეხების თავიდან ასაცილებლად.
- ყოველთვის გამოიყენეთ ღუმელის ხელთათმანები აქსესუარების ან ჭურჭლის გამოსაღებად ან შესაღებად.
- შეკეთებამდე, ჩახსენით კვების მიწოდება.
- გაფრთხილება: ნათურის შეცვლამდე დარწმუნდით, რომ მოწყობილობა გამორთულია, რათა თავიდან აიცილოთ დენის შესაძლო დარტყმა.
- თუ დენის სადენი დაზიანებულია, მისი შეცვლა უნდა მოხდეს მწარმოებლის, მისი ავტორიზებული სერვის ცენტრის ან მსგავსი კვალიფიკაციის პიროვნების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული ელექტრობასთან დაკავშირებული საფრთხე.
- ფრთხილად იყავით შესანახ უჯრასთან შეხებისას. ის შეიძლება გაცხელდეს.
- თაროს დამჭერების მოსახსნელად ჯერ გამოსწიეთ გვერდითი კედლებიდან დამჭერის წინა ნაწილი, შემდეგ კი უკანა. დააყენეთ თაროს დამჭერები საპირისპირო მიმართულებით.
- გამორთვის საშუალებები ჩართული უნდა იყოს ფიქსირებულ გაყვანილობაში გაყვანილობის წესების შესაბამისად.
- გაფრთხილება: გამოიყენეთ მხოლოდ ღუმლის მწარმოებლის მიერ დამზადებული, ინსტრუქციაში რეკომენდებული ან მოწყობილობას მოყოლილი ღუმლის მცველები. არასათანადო მცველების

გამოყენებამ შეიძლება უბედური შემთხვევები გამოიწვიოს.

2. უსაფრთხოების ინსტრუქციები

2.1 მონტაჟი

⚠ გარფთხილება!

ეს მოწყობილობა მხოლოდ კვალიფიცირებულმა სპეციალისტმა უნდა დააყენოს.

- მოხსენით ყველა შეფუთვა.
- არ დაამონტაჟოთ და არ გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- მიჰყევით დამონტაჟების ინსტრუქციებს, რომელიც მოწყობილობას მოჰყვება.
- ყოველთვის იყავით ფრთხილად მოწყობილობის გადატანისას, რადგან მძიმეა. ყოველთვის გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები და თანდართული ფეხსაცმელი.
- არ გაახოხოთ მოწყობილობა ხელით.
- სამზარეულო და შესადები ადგილი უნდა იყოს სათანადო ზომის.
- შეინარჩუნეთ მინიმალური დისტანცია სხვა მოწყობილობებთან და ხელსაწყოებთან.
- დაამონტაჟეთ მოწყობილობა უსაფრთხო და შესაფერის ადგილზე, რომელიც აკმაყოფილებს ინსტალაციის მოთხოვნებს.
- მოწყობილობის ნაწილები დენს ატარებს. დაზურეთ მოწყობილობა ფურნითურით, რათა თავიდან აიცილოთ სახიფათო ნაწილებზე შეხება.
- მოწყობილობის კიდევები უნდა იყოს იმავე სიმაღლის მოწყობილობების ან ხელსაწყოების მიმდებარედ.
- არ დაამონტაჟოთ მოწყობილობა კართან ან ფანჯრის ქვეშ. ეს თავიდან აგაცილებთ ცხელი ქვების გადმოვარდნას მოწყობილობიდან კარის ან ფანჯრის გაღებისას.
- მოწყობილობის გადახრის თავიდან ასარიდებლად, უზრუნველყავით მასტაბილირებული საშუალებების მონტაჟი. იხილეთ თავი „მონტაჟი“.

2.2 ელექტრული შეერთება

⚠ გარფთხილება!

ხანძრისა და დენის დარტყმის რისკი.

- ყველა ელექტროკავშირი უნდა გაიყვანოს კვალიფიცირებულმა ელექტრიკოსმა.
- მოწყობილობა უნდა იქნას დამიწებული.
- დარწმუნდით, რომ სპეციფიკაციის იარაღზე მითითებული პარამეტრები თავსებადია ძირითადი დენის წყაროს ელექტრო სპეციფიკაციებთან.
- ყოველთვის გამოიყენეთ სწორად დაყენებული დარტყმაგამძლე ბუდე.
- არ გამოიყენოთ მარავალშესაერთებლიანი გადამყვანები და დამაგრებლები.
- არ მისცეთ საშუალება დენის სადენს შეეხოს ან მიუახლოვდეს მოწყობილობის კარს ან დანადგარის ქვეშ ნიშას, განსაკუთრებით როცა კარი ცხელია.
- პირდაპირი და იზოლირებული ნაწილების დარტყმის საწინააღდეგო დაცვა ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ ინსტრუმენტების გარეშე მოხსნა არ შეიძლებოდეს.
- შტეფსელი როზეტთან დააკავშირეთ მხოლოდ მონტაჟის ბოლოს. დარწმუნდით, რომ როზეტთან წვდომა არის დამონტაჟების შემდეგ.
- თუ როზეტი მოშვებულია, არ შეაერთოთ შტეფსელი.
- არ მოჰაჩოთ კაბელს მოწყობილობის გამოსართავად. ყოველთვის გამოსწიეთ შტეფსელი.
- გამოიყენეთ მხოლოდ სწორი საიზოლაციო მოწყობილობები: ხაზის მცველები, მცველები (ბუდიდან ამოღებული ხრახნიანი მცველები), მიწაზე ჟონვის კვალი და კონტაქტორები.
- ელექტრულ ინსტალაციას უნდა ჰქონდეს საიზოლაციო აპარატი,

რომელიც საშუალებას მოგცემთ გათიშოთ მოწყობილობა დენის ქსელიდან ყველა პოლუსზე. საიზოლაციო აპარატს უნდა ჰქონდეს კონტაქტის ღიობი არანაკლებ 3 მმ სისქის.

- მთლიანად დახურეთ მოწყობილობის კარი სანამ მაგისტრალურ კაბელს როზეტთან შეაერთებთ.

2.3 გამოყენება

⚠ გარფთხილება!

დაზიანებისა და დამწვრობის მიღების რისკი.
დენის დარწყმის რისკი.

- არ შეცვალოთ ამ მოწყობილობის სპეციფიკაცია.
- დარწმუნდით, რომ სავენტილაციო ღიობები არ არის დაბლოკილი.
- არ დატოვოთ მოწყობილობა მუშაობის დროს უმეტესადაც ურეოდ.
- გამორთეთ მოწყობილობა ყოველი გამოყენების შემდეგ.
- ფრთხილად იყავით მოწყობილობის კარის გაღებისას, როცა მოწყობილობა მუშაობს. შეიძლება ცხელი ჰაერი გამოვიდეს.
- არ ამოშაოთ მოწყობილობა სველი ხელით ან წყალთან კონტაქტისას.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა სამუშაო ან შესანახ ზედაპირად.
- კარდიოსტიმულატორის მქონე მომხმარებლებმა უნდა დაიცვან მინიმუმ 30 სმ-ის დისტანცია ინდუქციური სამზარეულო ზონიდან, როცა მოწყობილობა მუშაობის პროცესშია.
- არ გამოიყენოთ ალუმინის ფოლგა ან სხვა მასალები საჭმლის მომზადების ზედაპირსა და ჭურჭელს შორის, თუ ამ მოწყობილობის მწარმოებლის მიერ სხვა რამ არ არის მითითებული.
- გამოიყენეთ მხოლოდ მწარმოებლის მიერ ამ მოწყობილობისთვის რეკომენდებული აქსესუარები.
- ყოველთვის გამოიყენეთ მინა და ქილეები, რომლებიც განკუთვნილია კონსერვაციისთვის.

⚠ გარფთხილება!

ხანძრისა და აფეთქების რისკი.

- გაზურბულმა ცხიმებმა და ზეთმა შეიძლება აალებადი ორთქლი გამოუშვას. მოარიდეთ ცეცხლი ან ცხელი საგნები ცხიმსა და ზეთს მზადებისას.
- ცხელი ზეთის მიერ გამოშვებულმა ორთქლმა შეიძლება უეცარი აალება გამოიწვიოს.
- გამოყენებულმა ზეთმა, რომელიც საკვების ნარჩენებს შეიცავს შეიძლება გაცილებით დაბალ ტემპერატურაზე გამოიწვიოს ხანძარი, ვიდრე პირველად გამოყენებულმა ზეთმა.
- არ დადოთ აალებადი პროდუქტი, ან სველი საგნები აალებად პროდუქტებთან ერთად მოწყობილობაში, მოწყობილობაზე ან მასთან ახლოს.
- კარის გაღებისას მოარიდეთ მოწყობილობა ნაპერწკლებთან და ცეცხლთან შეხებას.
- ფრთხილად გააღეთ მოწყობილობის კარი. სპირტიანი ინგრედიენტების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰაერისა და ალკოჰოლის შერევა.

⚠ გარფთხილება!

მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

- მინანქრის დაზიანების ან ფერის გადასვლის თავიდან ასაცილებლად:
 - არ დადოთ ჭურჭელი ან სხვა პროდუქტები ღუმელში პირდაპირ ძირზე.
 - არ დადოთ ალუმინის ფოლგა პირდაპირ ღუმლის კამერის ძირზე.
 - არ მოათავსოთ წყალი პირდაპირ ცხელ მოწყობილობაში.
 - მომზადების შემდეგ არ დატოვოთ ტენიანი ჭურჭელი ან საკვები მოწყობილობაში.
 - ფრთხილად იყავით აქსესუარების მოხსნისა თუ დაყენებისას.
- მინანქრის ან უჟანგავი ფოლადის ფერის გადასვლა გავლენას არ ახდენს მოწყობილობის მუშაობაზე.
- გამოიყენეთ ღრმა ფორმა ნოტიო ნამცხვრებისთვის. ხილის წვენი ტოვებს ლაქებს, რომლებიც შეიძლება მუდმივი იყოს.

- ნუ მოათავსებთ სამზარეულოს ცხელ ჭურჭელს მართვის პანელზე.
- არ ადუღოთ სამზარეულოს ჭურჭელი სრულად ამოშრობამდე.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე, რომ მოწყობილობაზე არ დაგივარდეთ საგნები ან სამზარეულოს ჭურჭელი. ზედაპირი შეიძლება დაზიანდეს.
- ნუ ჩართავთ საჭმლის მომზადების ზონებს ცარიელი ჭურჭლით ან ჭურჭლის გარეშე.
- თუჯის, ალუმინის ან დაზიანებული ძირის მქონე ჭურჭელმა შეიძლება გამოიწვიოს ნაკაწრები. როდესაც გჭირდებათ საგნების სამზარეულო ზედაპირზე გადატანა, ყოველთვის ასწიეთ იგი.

2.4 მოვლა და დასუფთავება

გარფთხილება!

დაზიანების, ხანძრის ან მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

- გამორთეთ მოწყობილობა შეკეთებამდე.
- გამორთეთ შტეფსელი როზეტიდან.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობა ცივია. არსებობს მინის პანელების გატეხვის რისკი.
- დაზიანების შემთხვევაში კარის მინის პანელები დაუყოვნებლივ გამოცვალეთ. დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
- ფრთხილად იყავით მოწყობილობის კარის მოხსნის დროს. კარი მძიმეა!
- მოწყობილობაში დარჩენილმა ცხიმმა და საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი.
- რეგულარულად გაწმინდეთ მოწყობილობა ზედაპირის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
- იზრუნეთ, რომ კამერა და კარი ყოველი მოხმარების შემდეგ მშრალდებოდეს. მოწყობილობის მუშაობის მანძილზე წარმოქმნილი ორთქლი კონდენსირდება კორპუსის კედლებზე და ამან შესაძლებელია გამოიწვიოს კოროზია. კონდენსაციის შესამცივრებლად ამუშავეთ მოწყობილობა ცხობამდე 10 წუთის განმავლობაში.

- გაწმინდეთ მოწყობილობა რბილი სველი ტილოთი. გამოიყენეთ მხოლოდ ნეიტრალური სარეცხი საშუალება. არ გამოიყენოთ აბრაზიული პროდუქტები, აბრაზიული საწმენდი ბალიშები, გამსხნელები ან რკინის ნივთები.
- თუ იყენებთ ღუმლის სპრეის, დაიცავით შეფუთვაზე მითითებული უსაფრთხოების ინსტრუქციები.
- კაბალიტურ ემალს (თუ თავსებადია) ნუ გაწმენდთ რაიმე ტიპის საწმენდი საშუალებით.

2.5 შიდა განათება

გარფთხილება!

დენის დარტყმის რისკი.

- პროდუქტში არსებული ნათურა(ები) და სათადარიგო ნათურის ნაწილები დამოუკიდებლად უნდა შეიძინოთ: ეს ნათურები განკუთვნილია ექსტრემალური ფიზიკური პირობებისათვის საყოფაცხოვრებო დანადგარებში, როგორც არის ტემპერატურა, ვიბრაცია, ტენიანობა და ასევე იღებენ სასიგნალო ინფორმაციას დანადგარის საოპერაციო სტატუსის შესახებ. ისინი არ არის განკუთვნილი სხვა დანადგარებში გამოყენებისათვის და საყოფაცხოვრებო ოთახების გასანათებლად.
- ეს პროდუქტი შეიცავს G კლასის ენერგოეფექტურობის მსუბუქ წყაროს.
- გამოიყენეთ მხოლოდ იმავე სპეციფიკაციის ნათურები.

2.6 სერვისი

- მოწყობილობის შესაკეთებლად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
- გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები.

2.7 განკარგვა

გარფთხილება!

დაზიანების ან დაზუთვის რისკი.

- დაუკავშირდით თქვენს მუნიციპალურ სამსახურს, საყოფაცხოვრებო ელექტრო

- მოწყობილობის სათანადო წესის დაცვით გადაგდების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.
- გამორთეთ მოწყობილობა დენის მთავარი წყაროდან.

- გადაჭერით მთავარი ელექტროსადენი მოწყობილობასთან ახლოს და შეინახეთ.

3. მონტაჟი

⚠ გარფთხილება!


იხილეთ უსაფრთხოების თავები.

3.1 ტექნიკური მონაცემები

ზომები	
სიმაღლე	847 - 867 მმ
სიგანე	596 მმ
სიღრმე	600 მმ

3.2 მოწყობილობის ადგილმდებარეობა


დამოუკიდებლად მდგომი მოწყობილობის დამონტაჟება შეგიძლიათ ცალი ან ორი მხრიდან შემოსაზღვრული კარადებით ან კუთხეში.



მინიმალური მანძილები

ზომები	მმ
A	650

3.3 მოწყობილობის გათანაბრება




მოწყობილობის ზედა ზედაპირის დონის სხვა ზედაპირებთან გასათანაბრებლად გამოიყენეთ მოწყობილობის ქვემოთ არსებული პატარა ფეხები.

3.4 დაბრუნებისგან დაცვა

⚠ სიფრთხილე!

დააყენეთ დაბრისგან დაცვის საშუალება, რათა თავიდან აიცილოთ მოწყობილობის დავარდნა მასში არასწორი პროდუქტების მოთავსებისას. დაბრისგან დაცვა მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც მოწყობილობა სწორ ადგილასაა მოთავსებული. თქვენს მოწყობილობაზე მოცემული სიმბოლოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შეგახსენებთ დაბრისგან დაცვის საშუალების დაყენების შესახებ.




⚠ სიფრთხილე!

დარწმუნდით, რომ დახრის საწინააღმდეგო დაცვას სწორ სიმაღლეზე ამოქსატებთ.

დარწმუნდით, რომ მოწყობილობის უკან არსებული ზედაპირი არის რბილი.

1. დახრის საწინააღმდეგო დაცვის დამაგრებამდე, დარწმუნდით, რომ მოწყობილობისთვის სწორი სიმაღლე და სივრცეა განსაზღვრული.
2. დააყენეთ დახრისგან დაცვის საშუალება მოწყობილობის მაღლითა ზედაპირიდან 176 მმ-ით ქვემოთ და 24 მმ-ის დაშორებით მოწყობილობის მარცხენა გვერდიდან, კრონშტაინზე წრიულ ხვრელში. იხილეთ ილუსტრაცია. ჩახრახნეთ იგი მყარ მასალაში ან გამოიყენეთ შესაბამისი გამყარება (კედელი).
3. ხვრელი მოწყობილობის უკანა ნაწილის მარცხენა მხარესაა მოთავსებული. იხილეთ ილუსტრაცია. მოათავსეთ მოწყობილობა სამზარეულოს კარადებს შორის არსებულ ადგილას (1). თუ კარადის კიდეებს შორის სივრცე მოწყობილობის სიგანეზე ფართოა, გვერდის განზომილება

მოწყობილობის ცენტრის მიმართ უნდა დაარეგულიროთ.



3.5 ელექტრული ინსტალაცია

⚠ გარფთხილება!

მწარმოებელი იხსნის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ დაიცავთ უსაფრთხოების თავებში მოცემულ უსაფრთხოების მითითებებს.


წინამდებარე მოწყობილობის მიწოდება ხდება ქსელური კაბელის ან ჩამრთველის გარეშე.

სხვადასხვა ფაზების შესაბამისი კაბელის ტიპები:

ფაზა	მინ. ზომის კაბელი
1	3x6,0 მმ²
3 ნეიტრალურით	5x1,5 მმ²


⚠ გარფთხილება!

კვების კაბელი არ უნდა ეხებოდეს მოწყობილობის ილუსტრაციაზე ჩრდილით გამოყოფილ ნაწილს.



4. პროდუქტის აღწერა


4.1 ზოგადი მიმოხილვა



- 1 გაზურების ფუნქციების სახელური
- 2 დისპლეი

- 3 მართვის მბრუნავი ღილაკი (ტემპერატურისთვის)
- 4 ტემპერატურის ინდიკატორი / სიმბოლო
- 5 გამათბობელი ელემენტი
- 6 ნათურა
- 7 თაროს საყრდენი, მოსახსნელი
- 8 ვენტილატორი
- 9 კამერის რელიეფური ნაწილი
- 10 თაროების პოზიციები

4.2 ქურის მიმოხილვა



- 1 საჭმლის მომზადების ინდუქციური ზონა
- 2 საკონტროლო პანელი

4.3 აქსესუარები

- **გისოსებიანი თარო**
ჭურჭლისთვის, ნამცხვრის ფორმებისთვის, შემწვრებისთვის.
- **კომბი-ტაფა**
ნამცხვრებისა და ბისკვიტებისთვის. გამოსაცხობად და შესაწვავად ან როგორც ცხიმის შესაგროვებელი ტაფა.
- **AirFry ლანგარი**
საჭმლის ნაკლები ზეთით თუ საცხობი ჭაღალდის გარეშე შესაწვავად.
- **ტელესკოპური მიმმართველები**
თაროებისა და ლანგრებისთვის.
- **შესანახი უჯრა**
შესანახი უჯრა მდებარეობს ღუმელის ღრუს ქვემოთ.

5. პირველ გამოყენებამდე

⚠ გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

5.1 წინასწარ გაცხელება და წმენდა

პირველად გამოყენებამდე და მასში საკვების მოთავსებამდე, წინასწარ

გაცხელეთ ცარიელი მოწყობილობა. მოწყობილობამ შეიძლება არასასიამოვნო სუნი და კვამლი გაუშვას. წინასწარ გაცხელების დროს გაანიავეთ ოთახი.



კარი აღჭურვილია ნელი დაზურვის სისტემით. არ გამოიყენოთ ძალა კარის დასახურად.

1. მოხსენით მოწყობილობას ყველა აქსესუარი და თაროების მოხსნადი დამჭერები.
2. დააყენეთ ფუნქცია . დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა. ამუშავეთ მოწყობილობა 1 სთ-ს განმავლობაში.
3. დააყენეთ ფუნქცია . დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა. ამუშავეთ მოწყობილობა 15 წთ-ის განმავლობაში.
4. დააყენეთ ფუნქცია . დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა. ამუშავეთ მოწყობილობა 15 წთ-ს განმავლობაში.
5. გამორთეთ მოწყობილობა და დაელოდეთ მის გაცივებას.
6. მოწყობილობა და აქსესუარები გაწმინდეთ მხოლოდ მიკრობოჭკოვანი ტილოთი, თბილი წყლითა და მსუბუქი საწმენდი საშუალებით.
7. დააბრუნეთ აქსესუარები და თაროების მოხსნადი დამჭერები თავდაპირველ პოზიციაში.

5.2 სენსორული ველების გამოყენება

ფუნქციის გასააქტიურებლად ხანგრძლივად დააჭირეთ შერჩეულ სიმბოლოს ეკრანზე მინიმუმ 1 წამის განმავლობაში.

5.3 დროის დაყენება

ლუმის გამოყენებამდე დრო უნდა დააყენოთ.

⌚ ციმციმებს, როცა ლუმელს ელექტროენერგიის წყაროს დაუკავშირებთ, როცა ელექტროენერგია გამოირთვება ან როცა ტაიმერი არ არის დაყენებული.

დააჭირეთ $+$ -ს ან $-$ -ს სწორი დროის დასაყენებლად.

დაახლოებით ხუთი წამის შემდეგ ციმციმი შეწყდება და ეკრანზე გამოჩნდება თქვენ მიერ დაყენებული დრო.

5.4 დროის შეცვლა



თქვენ არ შეგიძლიათ დღის დროის შეცვლა, თუ რომელიმე ფუნქცია მუშაობს.

დააჭირეთ ⌚ რამდენიმეჯერ განმეორებით, სანამ დღის დროის ფუნქციის ინდიკატორი აციმციმდება. ახალი დროის დასაყენებლად გაეცანით თავს „დროის დაყენება“.

5.5 გამოსაწევ-შესაწევი სახელურები

მოწყობილობის გამოსაყენებლად დააჭირეთ სახელურს. სახელური გამოდის.


6. ქურა - ყოველდღიური გამოყენება



გარფთხილება!

იზილეთ უსაფრთხოების თავები.

6.1 ქურის მართვის პანელი



მოწყობილობის ასამუშავებლად გამოიყენეთ სენსორული ველები. დისპლეები, ინდიკატორები და ზმები გატყობინებენ, თუ რომელი ფუნქცია მუშაობს.

სენსორული ველი	ფუნქცია	კომენტარი
1	ⓘ	ჩართვა / გამორთვა
2	⏮	Hob®Hood
3	🔒	ჩაკეტვა / ბავშვის უსაფრთხოების მოწყობილობა
4	⏸	პაუზა
5	-	სითბოს პატამეტრების დისპლეი
6	-	საკვების მომზადების ზონების ტაიმერის ინდიკატორები
7	-	ტაიმერის დისპლეი
8	⌚	-
9	+ / -	-
10	+ / -	-
11	⏻	PowerBoost

6.2 გაცხელების პატამეტრების დისპლეები

დისპლეი	აღწერა
⏻	საკვების მომზადების ზონა დეაქტივირებულია.
⏻ - ⏻	საკვების მომზადების ზონა მუშა მდგომარეობაშია.

დისპლეი	აღწერა
	პაუზა მუშა მდგომარეობაშია.
	ავტომატური გაცხელება მუშა მდგომარეობაშია.
	PowerBoost მუშა მდგომარეობაშია.
+ ციფრი	სახეზეა გაუმართაობა.
/ /	OptiHeat control (ნარჩენი სიცხის 3 საფეხურიანი ინდიკატორი): საკვების მომზადების გაგრძელება / სითბოს შენარჩუნება / ნარჩენი სიცხე.
	ჩაკეტვა / ბავშვის უსაფრთხოების მოწყობილობა მუშაობს.
	არასწორი ან ძალიან პატარა სამზარეულოს ჭურჭელი ან სამზარეულოს ჭურჭელი არ არის განთავსებული საკვების მომზადების ზონაზე.
	ავტომატური გამორთვა მუშა მდგომარეობაშია.

6.3 OptiHeat control (ნარჩენი სიცხის 3 საფეხურიანი ინდიკატორი)

გარფთხილება!

/ / მანამ, სანამ ინდიკატორი ჩართულია, არსებობს ნარჩენი სითბოსგან დამწვრობის რისკი.

საჭმლის მომზადების ინდუქციური ზონები უშუალოდ ჭურჭლის ძირში წარმოქმნიან იმ სიმხურვალეს, რომელიც აუცილებელია საჭმლის მომზადების პროცესისთვის. მინაკერამიკა თბება ჭურჭლის სიმხურვალის ზემოქმედებით.

ინდიკატორები გამოჩნდება მაშინ, როდესაც საკვების მომზადების ზონა ცხელია. ისინი საკვების თქვენ მიერ ამჟამად გამოყენებული მომზადების დონეებისთვის ნარჩენი სიცხის დონეს აჩვენებენ.

- საკვების მომზადების გაგრძელება,

- სითბოს შენარჩუნება,

- ნარჩენი სიცხე.

ინდიკატორი შეიძლება ასევე გამოჩნდეს:

- გვერდით მდებარე საჭმლის მომზადების ზონებისთვისაც, თუნიდაც თქვენ მათ არ იყენებდეთ,

- როდესაც ცხელი ჭურჭელი მომზადების ცივ ზონაზე დევს,
- როდესაც ქურა გამორთულია, მაგრამ საჭმლის მომზადების ზონა ჯერ ისევ ცხელია.

ინდიკატორი ითიშება, როდესაც საჭმლის მომზადების ზონა გრილდება.

6.4 აქტივაცია და დეაქტივაცია

1 წამით შეეხეთ ①-ს ქურის გასააქტიურებლად ან დეაქტივირებისათვის.

6.5 ავტომატური გამორთვა

ფუნქცია მოახდენს ქურის ავტომატურ დეაქტივაციას თუ:

- საჭმლის მომზადების ყველა ზონა დეაქტივირებულია,
- თქვენ არ დააყენებთ გაცხელების პარამეტრს ქურის აქტივაციის შემდეგ,
- 10 წამზე მეტი ხნის განმავლობაში თქვენ რაიმეს დაღვრით ან დადებით მართვის პანელზე (ტაფა, ნაჭერი და სხვ.). გაიჟღერებს აკუსტიკური სიგნალი და ქურა გამორთვება. მოაცილეთ საგანი ან გაწმინდეთ მართვის პანელი.
- ქურა ძალიან გაცხელდა (მაგ.: როდესაც ქვაბში დუღილისას წყალი ამოშრება). ქურის ნელახლა გამოყენებამდე

- აცადეთ საჭმლის მომზადების ზონას გაცივება.
- იყენებთ არასწორ სამზარეულოს ჭურჭელს. **F** სიმბოლო გამოჩნდება და საჭმლის მომზადების ზონა 2 წუთის შემდეგ ავტომატურად დაექტივირდება.
 - თქვენ არ გჭირდებათ საკვების მომზადების ზონის დაექტივაცია ან გაცხელების პარამეტრის შეცვლა გარკვეული დროის შემდეგ **□** ჭურა დაექტივირდება.

დამოკიდებულება გაცხელების პარამეტრსა და დროს შორის, რომლის შემდეგაც ხდება ჭურის დაექტივაცია:

გაცხელების პარამეტრები	ჭურა დაექტივირდება
□ , 1 - 2	6 საათის შემდეგ
3 - 4	5 საათის შემდეგ
5	4 საათის შემდეგ
6 - 9	1,5 საათის შემდეგ

6.6 გაცხელების პარამეტრი

შეეხეთ **+**-ს გაცხელების პარამეტრის მოსამატებლად. შეეხეთ **—**-ს გაცხელების პარამეტრის შესამცირებლად.

ერთდროულად შეეხეთ **+**-სა და **—**-ს საკვების მომზადების ზონის დაექტივაციისათვის.

6.7 ავტომატური გაცხელება

ამ ფუნქციის გააქტიურების შემთხვევაში, ცოტა ხანში მიიღებთ გაცხელებისთვის საჭირო პარამეტრს. ეს ფუნქცია გარკვეული ხნის განმავლობაში აყენებს მაქსიმალური გაცხელების პარამეტრს და შემდეგ ამცირებს სწორ გაცხელების პარამეტრამდე.



ფუნქციის გასააქტიურებლად, საჭმლის მომზადების ზონა ცივი უნდა იყოს.

საჭმლის მომზადების ზონისთვის: შეეხეთ **□** **P** (ჩაირთვება).

დაუყოვნებლივ შეეხეთ **+** **P**

(ჩაირთვება). დაუყოვნებლივ შეეხეთ **—** გაცხელების სწორი პარამეტრის ჩართვამდე. 3 წამის შემდეგ **P** ჩაირთვება.

ფუნქციის დაექტივაციისათვის: შეეხეთ **—**.

6.8 PowerBoost

ეს ფუნქცია საჭმლის მომზადების ინდუქციურ ზონებს მეტი სიმძლავრით უზრუნველყოფს. ფუნქციის გააქტიურება შესაძლებელია საჭმლის მომზადების ინდუქციური ზონისათვის, მხოლოდ დროის შეზღუდული პერიოდით. ამ დროის შემდეგ საჭმლის მომზადების ინდუქციური ზონა ავტომატურად შეამცირებს სიმზურვალის უმაღლეს პარამეტრს.

ფუნქციის საჭმლის მომზადების ზონისთვის გასააქტიურებლად: შეეხეთ

□ **P** გამოჩნდება.

ფუნქციის დაექტივაციისთვის: შეეხეთ **□** ან **—**.

6.9 ტაიმერი

უკუთვლის ტაიმერი

შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს ფუნქცია, რათა დააყენოთ, თუ რამდენ ხანს უნდა იმუშაოს კონფორმა ერთი მომზადებისთვის.

ჯერ დააყენეთ გაცხელების პარამეტრი კონფორისთვის, შემდეგ დააყენეთ ფუნქცია.

კონფორის დაყენებისთვის: შეეხეთ **!** ისევ და ისევ სანამ შესაბამისი კონფორის ინდიკატორი არ გაჩნდება.

ფუნქციის გასააქტიურებლად ან დროის შესაცვლელად: შეეხეთ **+** ან **—** ტაიმერს დროის დასაყენებლად (00 - 99 წუთი). როდესაც კონფორის ინდიკატორი იწყებს ნელა ციმციმს დროის აითვლება.

დარჩენილი დროის სანახავად: დააყენეთ კონფორი შემდეგთან ერთად **!**. კონფორის ინდიკატორი სწრაფად იწყებს

ციმციმს. დისპლეი აჩვენებს დარჩენილ დროს.

ფუნქციის გამოსართავად: დააყენეთ კონფორი შემდეგთან ერთად ① და შეეხეთ —. დარჩენილი დროის ათვლა უბრუნდება 00-ს. კონფორის ინდიკატორი ქრება.



დროის ამოწურვის შემდეგ, ხმა ირთება და 00 ციმციმებს. საჭმლის მომზადების ზონა დეაქტივირებულია.

ხმის გამოსართავად: შეეხეთ ①.

წუთობრივი შემხსენებელი
ამ ფუნქციის გამოყენება შეგიძლიათ, როგორც **წუთობრივი შემხსენებელი**, როდესაც ქურა ჩართულია და საჭმლის მომზადების ზონები არ მუშაობს. ტემპერატურული პარამეტრის ეკრანი აჩვენებს ②-ს.

ფუნქციის ჩასართავად: შეეხეთ ①.

შეეხეთ + ან ტაიმერის — დროის დასაყენებლად. დროის ამოწურვის შემდეგ ხმა გაისმის და 00 ციმციმებს.

ხმის გამოსართავად: შეეხეთ ①.

ფუნქციის გამოსართავად: შეეხეთ ① და შემდეგ შეეხეთ —. დარჩენილი დროის ათვლა უბრუნდება 00-ს.



ფუნქციას არავითარი გავლენა არ აქვს საჭმლის მომზადების ზონების მუშაობაზე.

6.10 პაუზა

ეს ფუნქცია ყველა კონფორს, რომელიც მუშაობს მინიმალურ გაცხელების პარამეტრზე დააყენებს.

როცა ფუნქცია მუშაობს, მართვის პანელის ყველა სხვა სიმბოლო იბლოკება.

ფუნქცია არ აჩერებს ტაიმერის ფუნქციებს.

1. ფუნქციის გასააქტიურებლად:

დააჭირეთ ღილაკს II.

② გამოჩნდება. სიმზურვალის პარამეტრი დაბლდება 1-მდე.

2. ფუნქციის დეაქტივირებისთვის:

დააჭირეთ ღილაკს II.

წინა გაცხელების პარამეტრი ჩაირთვება.

6.11 ჩაკეტვა

სალგების მომზადების ზონების მუშაობისას შეგიძლიათ დაბლოკოთ მართვის პანელი. ეს ხელს უშლის გაცხელების პარამეტრის შემთხვევით შეცვლას.

თავდაპირველად დააყენეთ გაცხელების პარამეტრი.

ფუნქციის გასააქტიურებლად: შეეხეთ ②.

③ 4 წამით ჩაირთვება. ტაიმერი დარჩება ჩართული.

ფუნქციის დეაქტივაციისათვის: შეეხეთ ②.

② ჩაირთვება წინა გაცხელების პარამეტრი.



როდესაც მოახდენთ ქურის დეაქტივაციას, ასევე ახდენთ მისი ფუნქციის დეაქტივაციას.

6.12 ბავშვის უსაფრთხოების მოწყობილობა

მოცემული ფუნქცია ხელს უშლის ქურის შემთხვევით ამუშავებას.

ფუნქციის გასააქტიურებლად:

გაააქტიურეთ ქურა ①-ით. ნუ დააყენებთ რაიმე გაცხელების პარამეტრს. შეეხეთ ②-

ს 4 წამის განმავლობაში. ③ ჩაირთვება.

მოახდინეთ ქურის დეაქტივაცია ①-ის საშუალებით.

ფუნქციის გასააქტიურებლად:

გაააქტიურეთ ქურა ①-ით. ნუ დააყენებთ რაიმე გაცხელების პარამეტრს. შეეხეთ ②-

ს 4 წამის განმავლობაში. ③ ჩაირთვება.

მოახდინეთ ქურის დეაქტივაცია ①-ის საშუალებით.

ფუნქციის საკვების მომზადებისას მხოლოდ ერთხელ გასაუქმებლად:

გააქტიურეთ ჭურა ① საშუალებით. ④

ჩაირთვება. შეეხეთ ⑤-ს 4 წამის განმავლობაში. დააყენეთ გაცხელების პარამეტრი 10 წამში. შეგიძლიათ ამუშაოთ ჭურა. როდესაც ჭურას თიშავთ ①-ით, ფუნქცია კვლავ იმუშავებს.

6.13 Hob²Hood

ეს გაფართოებული ავტომატური ფუნქციაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჭურასა და სპეციალურ გამწვავს. ჭურასა და გამწვავში, ორივეში წარმოდგენილია ინფრაწითელი სიგნალის გადაცემი მექანიზმი. ვენტილატორის სიჩქარე განისაზღვრება ავტომატურად, რეჟიმის პარამეტრისა და ჭურაზე მყოფი ყველაზე ცხელი ჭურჭლის ტემპერატურიდან გამომდინარე. თქვენ ვენტილატორის ჭურიდან დამოუკიდებლად მუშაობაც შეგიძლიათ.



გამწვავების უმრავლესობის შემთხვევაში, დისტანციური სისტემა, თავდაპირველადვე დააქტივირებულია. გააქტიურეთ იგი ამ ფუნქციის გამოყენებამდე. მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხელმძღვანელოთ გამწვავის მომხმარებლის სახელმძღვანელოთი.

ფუნქციის ავტომატურად მუშაობა

ფუნქციის ავტომატური მუშაობისთვის დააყენეთ ავტომატური რეჟიმი H1 - H6-ზე. ჭურა, თავდაპირველად H5-ზეა დაყენებული. გამწვავი რეაგირებს ჭურის ამუშავებისასვე. ჭურა ავტომატურად ამოიცნობს ჭურჭლის ტემპერატურას და არგებს მას ვენტილატორის სიჩქარეს.

ავტომატური რეჟიმები

	ავტომატური განათება	დუდილი ი ¹⁾	შეწვა ²⁾
რეჟიმი H0	გამორთვა	გამორთვა	გამორთვა
რეჟიმი H1	ჩართვა	გამორთვა	გამორთვა

	ავტომატური განათება	დუდილი ი ¹⁾	შეწვა ²⁾
რეჟიმი H2 3)	ჩართვა	ვენტილატორის სიჩქარე 1	ვენტილატორის სიჩქარე 1
რეჟიმი H3	ჩართვა	გამორთვა	ვენტილატორის სიჩქარე 1
რეჟიმი H4	ჩართვა	ვენტილატორის სიჩქარე 1	ვენტილატორის სიჩქარე 1
რეჟიმი H5	ჩართვა	ვენტილატორის სიჩქარე 1	ვენტილატორის სიჩქარე 2
რეჟიმი H6	ჩართვა	ვენტილატორის სიჩქარე 2	ვენტილატორის სიჩქარე 3

1) ჭურა ამოიცნობს დუდილის პროცესს და ავტომატურ რეჟიმთან შესაბამისად ააქტიურებს ვენტილატორის სიჩქარეს.

2) ჭურა ამოიცნობს შეწვის პროცესს და ავტომატურ რეჟიმთან შესაბამისად ააქტიურებს ვენტილატორის სიჩქარეს.

3) ეს რეჟიმი ააქტიურებს ვენტილატორს და განათებას და არ არის ტემპერატურაზე დამოკიდებული.

ავტომატური რეჟიმის შეცვლა

1. გამორთეთ მოწყობილობა.
2. დააჭირეთ ① 3 წამის განმავლობაში. ჩართვა/გამორთვა გამოჩნდება ეკრანზე.
3. დააჭირეთ ღილაკს ② 3 წამის განმავლობაში, სანამ ③ ან ④ არ გამოჩნდება.
4. დააჭირეთ ღილაკს ⑤ რამდენჯერმე, სანამ ⑥ არ გამოჩნდება.
5. დააჭირეთ ტაიმერის + ღილაკს ავტომატური რეჟიმის ასარჩევად.



გამწვავის სწორად მუშაობისთვის გამწვავის პანელზე გათიშეთ ფუნქციის ავტომატური რეჟიმი.



როდესაც მზადებას დაასრულებთ და ქურას გამორთავთ, გამწოვის ვენტოლატორმა, შესაძლოა დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე კვლავ განაგრძოს მუშაობა. ამ დროის შემდეგ, სისტემა ვენტოლატორს ავტომატურად გათიშავს და შემდეგი 30 წამის განმავლობაში არ მოგცემთ ვენტოლატორის შემთხვევითი გააქტიურების შესაძლებლობას.

ვენტოლატორის სიჩქარის ხელით მართვა

თქვენ ფუნქციის ხელით მართვაც შეგიძლიათ. ამისათვის შეეხეთ **III** როცა ქურა აქტიურია. ახდენს ფუნქციის ავტომატური მუშაობის დეაქტივაციას და სამუშაოებას გაძლევთ ხელით მართვით და შეცვალთ ვენტოლატორის სიჩქარე.

როდესაც დააწვებით **III** თქვენ ერთი მოუმატებთ ვენტოლატორის სიჩქარეს. როდესაც ინტენსიურ დონეს მიაღწევთ და კვლავ დააჭერთ **III** თქვენ ვენტოლატორის სიჩქარეს 0-ზე დააყენებთ, რაც გათიშავს გამწოვის ვენტოლატორს. ვენტოლატორის სიჩქარე 1-ზე შენებით, კვლავ ჩართეთ ვენტოლატორი **III**.



ფუნქციის ავტომატური მუშაობის გასააქტიურებლად, გამორთეთ ქურა და ახლიდან გაააქტიურეთ.

განათების გააქტიურება


თქვენ ქურაზე შეგიძლიათ განათების ავტომატური გააქტიურება მაშინ, როდესაც ქურას გაააქტიურებთ. ამისთვის, დააყენეთ ავტომატური რეჟიმი H1 - H6-ზე.



გამწოვის განათება ქურის გათიშვიდან 2 წუთში ითმება.

6.14 სიმძლავრის მართვა ფუნქცია

- საკვების მომზადების ზონები დაჯგუფებულია მდებარეობის და ქურის ფაზების რაოდენობის მიხედვით. იხილეთ ილუსტრაცია.
- თითოეულ ფაზას მაქსიმალური ელექტრული დატვირთვა გააჩნია.
- ფუნქცია ყოფს სიმძლავრეს ერთსა და იმავე ფაზასთან დაკავშირებულ საჭმლის მომზადების ზონებს შორის.
- ფუნქცია აქტიურდება, როდესაც საჭმლის მომზადების ერთ ფაზასთან დაკავშირებული ზონების მთლიანი ელექტრული დატვირთვა გადაჭარბებულია.
- ფუნქცია იმავე ფაზასთან დაკავშირებული საჭმლის მომზადების სხვა ზონებს სიმძლავრეს უმცირებს.
- შემცირებული ზონების სიმძლავრის პარამეტრის დისპლეი ორ დონეს შორის იცვლება.



7. ქურა - რჩევები და მითითებები



გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

7.1 სამზარეულოს ჭურჭელი



საკვების მომზადების ინდუქციური ზონებისთვის სამზარეულოს ჭურჭელში ძლიერი ელექტრომაგნიტური ველი სწრაფად წარმოქმნის მაღალ ტემპერატურას.



გამოიყენეთ საკვების მომზადების ინდუქციური ზონები სამზარეულოს სათანადო ჭურჭლით.

სამზარეულოს ჭურჭლის მასალა

- **სწორი:** თუჯი, ფოლადი, ემალირებული ფოლადი, უჟანგავი ფოლადი, მრავალშრიანი ძირი (მწარმოებლის მიერ გაკეთებული სწორი ნიშნულებით).
- **არასწორი:** ალუმინი, სპილემძი, თითბერი, შუშა, კერამიკა, ფაიფური.

სამზარეულოს ჭურჭელი შესაფერისია ინდუქციური ჭურჭლისთვის, თუ:

- წყალი ძალიან სწრაფად დუღდება ზონაში, რომელიც დაყენებულია გაცხელების მაქსიმალურ ტემპერატურაზე.
- მაგნიტი იზიდავს სამზარეულო ჭურჭლის ძირს.



სამზარეულოს ჭურჭლის ძირი რაც შეიძლება სქელი უნდა იყოს. ჭურჭის ზედაპირზე დადებამდე დარწმუნდით, რომ ტაფის ძირები სუფთა და მშრალია.

სამზარეულოს ჭურჭლის ზომები

საკვების მომზადების ინდუქციური ზონები ავტომატურად ადაპტირდება სამზარეულოს ჭურჭლის ძირის ზომაზე.

საკვების მომზადების ზონის ეფექტიანობა დაკავშირებულია სამზარეულოს ჭურჭლის დიამეტრთან. მინიმალურზე მცირე დიამეტრის მქონე სამზარეულოს ჭურჭელი, მიიღებს მხოლოდ იმ ენერგიის ნაწილს, რომელსაც საკვების მომზადების ზონა გამოიმუშავებს.

7.2 სამზარეულოს ჭურჭლის მინიმალური დიამეტრი

საკვების მომზადების ზონა	ჭურჭლის დიამეტრი (მმ)	სიმძლავრე (ვტ)
მარცხენა უკანა	125 - 140	1400/2500
მარჯვენა უკანა	145 - 180	1800/2800
მარჯვენა წინა	145 - 180	1800/2800
მარცხენა წინა	180 - 210	2300/3600

7.3 ხმაური მუშაობის დროს



ხმები ნორმალურია და არ მიუთითებს რაიმე გაუმართაობაზე. საკვების მოსამზადებელი ჭურჭლით გამოწვეული ხმები დამოკიდებულია ჭურჭლის მასალაზე და გამოყენებულ სიმძლავრის დონეზე.

ჭურჭელთან დაკავშირებული ხმები:

- გაბზარვის ხმა: ჭურჭელი დამზადებულია სხვადასხვა მასალისგან (სენდვიჩის ტიპის კონსტრუქცია).
- სტვენის ხმა: საკვების მომზადების ზონისთვის არჩეულია სიმძლავრის მაღალი დონე და ჭურჭელი დამზადებულია სხვადასხვა მასალისგან (სენდვიჩის ტიპის კონსტრუქცია).
- გუგუნო: იყენებთ ენერგიის მაღალ დონეს.

ჭურჭლთან დაკავშირებული ხმები:

- ტკაცუნა: ელექტრო გადართვა სრულდება.
- შიშინი, ზუზუნი: მუშაობს ვენტილატორი.
- რიტმული ხმა: დაფიქსირდა საკვების მოსამზადებელი ჭურჭელი.

7.4 Öko Timer ეკო ტაიმერი

ენერგიის დაზოგვის მიზნით, კონფორის გამაცხელებელი გამორთულია

უკუმთვლელი ტაიმერის ხმის გამოცემამდე. განსხვავება მუშაობის დროში დამოკიდებულია გაცხელების პარამეტრის დონესა და საკვების მზადების ხანგრძლივობაზე.

7.5 საჭმლის მომზადების გამარტივებული სახელმძღვანელო

ზონის სიმზურვალის პარამეტრისა და მის მიერ სიმძლავრის მოხმარების კოლერაცია არაწრფივია. როდესაც სიმზურვალის

პარამეტრს ზრდით, იგი არ იქნება სიმძლავრის მოხმარების პროპორციული. ეს ნიშნავს, რომ საჭმლის მომზადების ზონა საშუალო სიღრმის პარამეტრით მოინმარს მისი სიმძლავრის ნახევარზე ნაკლებს.

i აღნიშნულ ცხრილში მოცემული მონაცემები მხოლოდ სახელმძღვანელო დანიშნულებისაა.

სიმზურვალის პარამეტრი	გამოიყენეთ რათა:	დრო (წთ)	მინიშნებები
 - 1	შეინარჩუნეთ მომზადებული საკვების სითბო.	საჭიროებ ისამებრ	დაახურეთ ჭურჭელს თავსახური.
1 - 2	ჰოლანდიური სოუსი; დაადნეთ: კარაჭი, მოკლადი, ჟელატინი.	5 - 25	დროგამოშვებით მოურეთ.
2	გამკრეკეთ: რბილი ომლეტი, გამომცხვარი კვერცხი.	10 - 40	მოამზადეთ დაგებული სახურავით.
2 - 3	ბრინჯიანი და რძიანი კერძების დაბალ ტემპერატურაზე მოსახარშად და მზა კერძების გასაცხელებლად.	25 - 50	დაამატეთ ბრინჯზე ორჯერ მეტი სითხე, პროცედურის მანძილზე ნახევრად აურეთ რძის კერძები.
3 - 4	მოშუშული ბოსტნეული, თევზი, ხორცი.	20 - 45	დაამატეთ რამდენიმე სუფრის კოვზი წყალი. ამ პროცესის დროს შეამოწმეთ წყლის რაოდენობა.
4 - 5	ორთქლზე მოხარშეთ კარტოფილი და სხვა ბოსტნეულები.	20 - 60	დაფარეთ ქვაბის ძირი 1-2 სმ წყლით. ამ პროცესის დროს შეამოწმეთ წყლის დონე. ქვაბს თავსახური არ მოხსნათ.
4 - 5	მოამზადეთ უფრო დიდი რაოდენობით საჭმელი, მოშუშული ხორცი და სუფები.	60 - 150	3 ლ-მდე სითხე და სხვა ინგრედიენტები.
6 - 7	ფრთხილი შეწვა: ესკალოპი, საქონლის ხორცის კორდონ ბლუ, კოტლეტი, ხორცის ან თევზის რულეტი, ძეხვეული, ღვიძლი, რუ, კვერცხი, ბლინები, ფუნთუშები.	საჭიროებ ისამებრ	საჭიროებისამებრ გადააბრუნეთ.
7 - 8	სრულად შეწვა, დაკეპილი ბრაწულები, ფილეს სტიეკები, სტიეკები.	5 - 15	საჭიროებისამებრ გადააბრუნეთ.
9	აღუღეთ წყალი, მოამზადეთ პასტა, შებრაწული ხორცი (გულიაში, ქვაბში შებრაწული), კარგად შემწვარი ჩიფსები.		
	აღუღეთ დიდი რაოდენობით წყალი. PowerBoost გააქტიურებულია.		

8. ქურა - მოვლა და დასუფთავება

გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

8.1 ზოგადი ინფორმაცია

- გაწმინდეთ ქურა ყოველი გამოყენების შემდეგ.
- ყოველთვის გამოიყენეთ სუფთა ძირის მქონე სამზარეულოს ჭურჭელი.
- ზედაპირზე არსებული ნაკაწრები ან მუქი ლაქები ქურის მუშაობაზე ზემოქმედებას არ ახდენენ.
- გამოიყენეთ ქურის პანელის შესაფერისი სპეციალური საწმენდი საშუალება.
- ყოველთვის გამოიყენეთ მინისზედაპირიანი ქურის პანელისთვის რეკომენდებული საფხეკი. საფხეკი გამოიყენეთ, როგორც მხოლოდ დამატებითი ხელსაწყო გაწმენდის სტანდარტული პროცედურის შესრულების შემდეგ მინის გასასუფთავებლად.

გარფთხილება!

დანები ან ლითონის სხვა ნებისმიერი ბასრი ხელსაწყო მინის ზედაპირის გასაწმენდად არ გამოიყენოთ.

8.2 გაასუფთავეთ ქურის პანელის

- **დაუყოვნებლივ მოაცილეთ:** გამდნარი პლასტმასი, პლასტიკური ფოლგა, მარილი, შაქარი და შაქრის შემცველი საკმელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭუჭყმა შესაძლოა ქურის დაზიანება გამოიწვიოს. მოერიდეთ დამწვრობის მიღებას. გამოიყენეთ ქურის სპეციალური საფხეკი შუშის ზედაპირზე მახვილი კუთხის პოზიციით და ამოძრავეთ პირი ზედაპირზე.
- **მოაშორეთ ქურის საკმარისად გაგრილების შემდეგ:** კირის ლაქები, წყლის ლაქები, ცნიმის ლაქები, მბზინავი ლითონისებრი ლაქა. ქურის პანელი გაწმინდეთ სველი ტილოთი და არააბრაზიული სარეცხი საშუალებით. გაწმენდის შემდეგ ქურის პანელი სველი ტილოთი გაამშრალეთ.
- **მოაცილეთ მბზინავარე ლითონზე გაუფერულებული ადგილები:** გამოიყენეთ ძმრიანი წყლის ხსნარი და ჩვრით გაწმინდეთ შუშის ზედაპირი.

9. ღუმელი - ყოველდღიური მოხმარება

გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

9.1 ღუმლის ფუნქციები

0 გამორთული მდგომარეობა
ღუმელი გამორთულია.

 **მოშადება ვენტილატორის გამოყენებით**
ერთდროულად მაქსიმუმ ორ პოზიციაზე ცხობა და საკვების გამოშრობა.
დააყენეთ 20-40 °C უფრო ნაკლები ტემპერატურა კონვენციური მოშადება ფუნქციისთვის.



პივის ფუნქცია / AirFry

იდეალურია პივის გამოსაცხობად და სხვა ისეთი კერძების მოსამზადებლად, რომლებიც მეტ გაცხელებას მოითხოვს ძირიდან. /
საკვები პროდუქტის შეწვა ნაკლები ზეითი ან საცხობი ქაღალდის გარეშე. ისეთი კერძებისთვის, როგორიცაა კარტოფილი ფრი ან პიცა.



კონვენციური მოშადება

გამოცხობა და შეწვა თაროს ერთ პოზიციაზე.



SteamBake

საჭმლის მომზადების პროცესში ტენიანობის დამატება. ცხობის დროს სათანადო ფერისა და ხრამუნა ქერქის მიღება. შეთბობის დროს წვნიანობის მომატება.



სწრაფი შეწვა გრილზე

დიდი ოდენობის საჭმლის თხელი ნაჭრების გრილზე შეწვა ან პურის გახუნვა.



ტურბო გრილი

თაროს ერთ პოზიციაზე საჭმლის თუ ფრინველის ძვლიანი ხორცის შესაწვავად. გრატენის გამოცხობა და შებრაწვა.



ცხობა ტენიანი ვენტილატორით

ეს ფუნქცია გამოიყენება ენერგოეფექტურობის კლასისა და ეკოდიზაინის მოთხოვნების შესაბამისად (როგორც ამას განსაზღვრავს EU 65/2014 და EU 66/2014). ტესტირება: IEC/EN 60350-1-ით. განკუთვნილია მზადების პროცესში ენერგიის დასაზოგად. ფუნქცია რომ არ შეფერხდეს და ღუმელმა ენერგოეფექტურობის უმაღლესი ხარისხით იმუშაოს, საჭმლის მომზადების დროს ღუმელის კარი დაკეტილი უნდა იყოს. ამ ფუნქციის გამოყენების დროს კამერაში არსებული ტემპერატურა შეიძლება განსხვავდებოდეს დაყენებული ტემპერატურისგან. გაცხელების სიმძლავრე შეიძლება შემცირდეს. ენერგიის დაზოგვის შესაბამისად ზოგადი რეკომენდაციების მისაღებად იხილეთ თავი „ენერგოეფექტურობა“, ენერგიის დაზოგვა. საჭმლის მომზადების ინსტრუქციის მისაღებად იხილეთ თავი „რჩევები და მითითებები“. ცხობა ტენიანი ვენტილატორით. ამ ფუნქციის გამოყენებისას ნათურა ავტომატურად ითიშება.



შეგიძლიათ გააღოთ საჭმელი ცხობა ტენიანი ვენტილატორით ფუნქციის არჩევით ტემპერატურის დაყენების გარეშე.

9.2 ღუმელის აქტივაცია და დეაქტივაცია



ის, თუ რომელი ექნება თქვენს მოწყობილობას – ღილაკების სიმბოლოები, ინდიკატორები თუ ნათურები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მოდელს იყენებთ:

- ინდიკატორი აინთება, როდესაც მოწყობილობა გაცხელდება.
- ნათურა აინთება, როცა ღუმელი მუშაობას დაიწყებს.
- სიმბოლო მიუთითებს ღილაკი საჭმლის მომზადების ზონებს აკონტროლებს, თუ ტემპერატურას.

1. გადაატრიალეთ ღუმელის ფუნქციების სახელური ღუმელის ფუნქციის შესარჩევად.
2. ტემპერატურის ასარჩევად გადაატრიალეთ ტემპერატურის მბრუნავი ღილაკი.
3. ღუმელის გამოსართავად, გადაატრიალეთ ღუმელის ფუნქციებისა და ტემპერატურის სახელურები გამორთულ პოზიციაზე.

9.3 ფუნქციის გააქტიურება: SteamBake

აღნიშნული ფუნქცია ზრდის ტენიანობას საჭმლის მომზადებისას.



გარფთხილება!

დაწვისა და მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

გამოსულმა ტენიანობამ შეიძლება დამწვრობა გამოიწვიოს:

- არ გააღოთ მოწყობილობის კარი ამ ფუნქციის გამოყენების დროს: SteamBake-ით.
- ფრთხილად გახსენით მოწყობილობის კარი ფუნქციის გამოყენების შემდეგ: SteamBake-ით.



იხილეთ თავი „რჩევები და მითითებები“.

1. გააღეთ ღუმლის კარი.

2. აავსეთ ონკანის წყლით კამერის რელიეფური ნაწილი. კამერის რელიეფური ნაწილის მაქსიმალური მოცულობა არის 250 მლ. კამერის რელიეფური ნაწილი წყლით შეავსეთ მხოლოდ მაშინ, როცა ღუმელი გრილია.
3. დაატრიალეთ ფუნქციის სახელური: SteamBake .
4. ტემპერატურის დასაყენებლად გადაატრიალეთ ტემპერატურის სახელური.
5. შედეტ საჭმელი მოწყობილობაში და დახურეთ ღუმლის კარი.

სიფრთხილე!

წყლით ზელახლა არ შეავსოთ კამერის რელიეფური ნაწილი, როცა საჭმელი მზადდება ან ღუმელი ცხელია.

6. მოწყობილობის გამოსართავად, გადაატრიალეთ ღუმელის ფუნქციებისა და ტემპერატურის სახელები გამორთულ პოზიციაზე.
7. ამოიღეთ წყალი კამერის რელიეფური ნაწილიდან.

გარფთხილება!

მოწყობილობა აუცილებლად უნდა გაგრილდეს, სანამ კამერის რელიეფური ნაწილიდან დარჩენილ წყალს მოაშორებთ.


9.4 გამაგრილებელი ვენტილატორი

ღუმლის მუშაობისას გამაგრილებელი ვენტილატორი ავტომატურად ირთვება ღუმლის ზედაპირის გასაგრილებლად. თუ ღუმელს გამორთავთ, გამაგრილებელი ვენტილატორი გააგრძელებს მუშაობას, სანამ ღუმელი არ გაგრილდება.

9.5 ღუმელის აქსესუარების მოთავსება


კომბი-ტაფა:

ღრმა ტაფა შესწიეთ თაროს დამჭერის მიმმართველ ღეროებს შორის.




გისოსებიანი თარო:

თარო შესწიეთ თაროს დამჭერის მიმმართველ ღეროებს შორის.



AirFry ლანგარი:

მოათავსეთ AirFry ლანგარი მესამე თაროს პოზიციაზე. მოათავსეთ საცხობი ლანგარი პირველი თაროს პოზიციაზე.





- მეტი უსაფრთხოებისთვის, ყველა აქსესუარს აქვს მცირე ნაჭდევეები მარჯვენა და მარცხენა მხარეების ზედა ნაწილში. ნაჭდევეები ასევე გადასრიალების საწინააღმდეგო საშუალებებია.
- თაროს ირგვლივ არსებული მაღალი რკალურა არის მოწყობილობა, რომელიც ჭურჭლის სრიალის პრევენციას უზრუნველყოფს.


9.6 ტელესკოპური მიმმართველები - ლუმელის აქსესუარების მოთავსება



შეინახეთ ტელესკოპური მიმმართველების დაყენების ინსტრუქციები სამომავლოდ გამოსაყენებლად.


ტელესკოპური მიმმართველებით შეგიძლიათ უფრო მარტივად ჩასვით და ამოიღოთ თაროები.

გისოსებიანი თარო:



მოათავსეთ ცხაურა ტელესკოპურ მიმმართველებზე ისე, რომ მისი ფეხები ქვემოთ იყოს მიმართული.


კომბი-ტაფა:



დადეთ ღრმა ტაფა ტელესკოპურ სასრიალებლებზე.

10. ლუმელი - საათის ფუნქციები

10.1 დისპლეი



- A. საათის ფუნქციები
- B. ტაიმერი

10.2 ღილაკები

ღილაკი	ფუნქცია	აღწერა
—	მინუსი	დროის დასაყენებლად.
⌚	საათი	საათის ფუნქციის დასაყენებლად.
+	პლუსი	დროის დაყენება.

10.3 საათის ფუნქციები

საათის ფუნქცია	გამოყენება
⌚	დღის მანძილზე დრო დასაყენებლად შეცვალეთ ან შეამოწმეთ დღის დრო.
→	ხანგრძლივობა ღუმელის მუშაობის ხანგრძლივობის დაყენება.
🔔	წუთობრივი შემხსენებელი უკუთვლის დაყენება. ფუნქცია არ მოქმედებს ღუმელის მუშაობაზე. ამ ფუნქციის დაყენება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მაშინაც, როცა ღუმელი გამორთულია.

10.4 ხანგრძლივობის დაყენება

- დააყენეთ ღუმელის ფუნქცია და ტემპერატურა.
- რამდენჯერმე ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს: ⌚, სანამ |→| არ დაიწყებს ციმციმს.
- ხანგრძლივობის დასაყენებლად დაჭირეთ აირჩიეთ + ან —. დისპლეიზე ნაჩვენებია |→|.
- დროის დასრულების შემდეგ |→| აციმციმდება და გამოიცემა ხმოვანი სიგნალი. მოწყობილობა ავტომატურად გამოირთვება.
- აკუსტიკური სიგნალის გამოსართავად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს.
- შეაბრუნეთ ღუმელის ფუნქციების მბრუნავი ღილაკი და ტემპერატურის მბრუნავი ღილაკი გამორთულ პოზიციაზე.

10.5 უკუთვლის ტაიმერის დაყენება

- რამდენჯერმე ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს: ⌚, სანამ 🔔 არ დაიწყებს ციმციმს.

- საჭირო დროის დასაყენებლად დაჭირეთ აირჩიეთ + ან —. წუთების მთვლელი ავტომატურად 5 წამის შემდეგ ირთვება.
- დაყენებული დროის გასვლის შემდეგ აკუსტიკური სიგნალი გამოიცემა. აკუსტიკური სიგნალის გამოსართავად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს.
- შეაბრუნეთ ღუმელის ფუნქციების მბრუნავი ღილაკი და ტემპერატურის მბრუნავი ღილაკი გამორთულ პოზიციაზე.

10.6 საათის ფუნქციების გაუქმება

- დააჭირეთ ⌚-ს რამდენჯერმე განუხორციელთ, სანამ დღის დროის ფუნქციის ინდიკატორი არ აციმციმდება.
- ხანგრძლივად შეეხეთ —. საათის ფუნქცია რამდენიმე წამის შემდეგ გამოირთვება.

11. ღუმელი - რჩევები და მითითებები

გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.



ცხრილში მოცემული ტემპერატურა და ცხობის დრო მხოლოდ სახელმძღვანელო დანიშნულებისაა. ისინი დამოკიდებულია რეცეპტებსა და გამოყენებული ინგრედიენტების ხარისხსა და ოდენობაზე.

11.1 ცხობა ტენიანი ვენტილატორით

პური და პიცა

საკვები	ტემპერატურა (°C)	დრო (წთ)	თაროს პოზიცია
ფუნთუშები	180	25 - 35	3
გაყინული პიცა 350 გ	190	25 - 35	3

ნამცხვრები საცხობ ლანგარში

საკვები	ტემპერატურა (°C)	დრო (წთ)	თაროს პოზიცია
ხვეულა მურაბით	180	20 - 30	3
ბრაუნი	180	30 - 40	3

ნამცხვრები ფორმაში

საკვები	ტემპერატურა (°C)	დრო (წთ)	თაროს პოზიცია
სუფლე	200	30 - 40	3
ბისკვიტის ცომის ფლანის ბაზა	180	20 - 30	3
